საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2560
14/06/2022

2560-21-2-202206141651

შპს „რუსთავის წყალს“
მის : ქ. რუსთავი, წმ. ნინოს № 5
ელ.ფოსტა: info@gwp.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №13367 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიდი მუღანლოს მიმდებარე ტერიტორიაზე ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია სამ უბანზე, თუმცა, საპროექტო დერეფნის GPS კოორდინატები არ მოიცავს ნაპირსამაგრი ნაგებობის პირველი მონაკვეთის (სიგრძე 31,5 მ) GPS კოორდინატებს, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტში აღწერილი უნდა იყოს ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოები;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაპირდამცავი ნაგებობის კონსტრუქციული ნაწილი, ნაგებობის ამგები ქვის საანგარიშო ზომების და 1 გრძივ მეტრზე ნაგებობის მოცულობის ჩვენებით, ასევე, მოცემული უნდა იყოს დამცავი ნაგებობის განივი და გრძივი ჭრილები, რომლებზეც დატანილი იქნება მდინარის საანგარიშო წყლის მაქსიმალური და კალაპოტის წარეცხვის დონეები. ნახაზებზე დატანილი უნდა იყოს ნაგებობის გეომეტრიული ზომები და შესაბამისი ნიშნულები;
- დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების შემდგომი მართვის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული

შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო